

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის
2021 წლის სამოქმედო გეგმა

2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიში

სარჩევი

I - ბიუჯეტირება

ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება	5
1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)	6
1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე	6
1.4 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	8
1.5 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება.....	8
1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება	9
1.7 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	9
1.8 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	11
1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით	12

II- აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება	8
1.2 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება	8
1.3 საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ გამართვა.....	9
1.4 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად	9
1.5 მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე	9
1.6 IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სტანდარტების მუდმივი თარგმნა/განახლება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	10
1.7 საჯარო სექტორში დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღება ...	10

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალუბის შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება	10
2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	11

III- მთავრობის ვალის მართვა

1. მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება

2. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

2.1 პირველადი დილერების სისტემის დანერგვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა	11
--	----

2.1.1 პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება	11
2.1.2 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შეფასება	12
2.1.3 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება	12
2.2 ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება	12
2.3 სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება	12

IV- საგადასახადო და საბაჟო საკითხები

1 საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება	13
1.2 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	13
1.3 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა	13
2 კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება	
2.1 კანონშესაბამისობის გაუმჯობესების პროგრამების დანერგვა	14
2.2 ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დანერგვა	14
2.3 ძირითად გადასახადის სახეებში სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის შემუშავება	14
2.4 აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა	15
2.5 მონაცემთა ანალიზის და მართვის სისტემის შექმნა	15

3 საბაჟო რისკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება

3.1 eTIR სისტემის დანერგვა	15
3.2 საბაჟო რისკების მართვის სისტემაში API PNR მონაცემების ინტეგრირება	15

4 ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა

4.1 დღგ-ის კანონმდებლობის იმპლემენტაციისა და ინტერპრეტაციისთვის შესაბამისი დოკუმენტებისა და სისტემების შემუშავება	16
4.2 ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის მეორე ფაზის განხორციელება ..	16

V- მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

1. მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა	16
1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება ..	17
1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება	17
1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება	17
1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი	17
1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ..	18

1.7 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით	18
1.8 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია.....	18
1.9 საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა	18

2. შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება.....	19
2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით	19

VI- ფისკალური რისკები

1. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა

1.1 სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა	19
1.2 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	20
1.3 ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება	20

VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება	20
1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	21
1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	21

VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

1. ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

1.1 ანგარიშგების პორტალის განვითარება	21
2. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა	
2.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა.....	21

IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	21
1.2 eTreasury- სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	22
1.3 eDMS- სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	22
1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.....	22
1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა	22

I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2021 წელს განხორციელდა წლიური ბიუჯეტის კანონში ცვლილება (2021 წლის 22 ივლისი; №810-Vრს-Xმპ). წლის დასაწყისში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტენდენციების მიუხედავად (*იანვარში ეკონომიკის კლება - 11,5%, თებერვალში 5.1%, პირველ კვარტალში ჯამურად ეკონომიკური კლების მაჩვენებელი 4.5%-ის ფარგლებში დაფიქსირდა*), აპრილიდან ეკონომიკური პარამეტრები შეიცვალა, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 44.8% შეადგინა, მაღალი ეკონომიკური ზრდა იყო შენარჩუნებული მაისშიც და ჯამში 5 თვის ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა 11.5%-ის ფარგლებში. გადაანგარიშებული მშპ-ის ნომინალურმა მაჩვენებელმა შეადგინა 57.2 მლრდ ლარი (დაგეგმილი მაჩვენებელი - 53.4 მლრდ ლარი).

შესაბამისად, მომზადდა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა დეფიციტის შემცირებას, ეკონომიკური აღდგენის ხელშეწყობას და COVID-19-ის მართვას და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დამატებით სახსრების მობილიზებას. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან მიმართებაში 7.7%-დან 6,9%-მდე ჩამოვიდა, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი მშპ-სთან მიმართებაში შემცირდა 54.6%-მდე.

გაიზარდა COVID-19-ის მართვასთან (სამედიცინო დაწესებულებების მობილიზება, მკურნალობის ხარჯები, ტესტირება და კვლევები, ვაქცინაცია და სხვა) დაკავშირებული ხარჯები (446.0 მლნ ლარით და შეადგინა 846.0 მლნ ლარი), ასევე ეკონომიკის ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსება. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - <https://www.mof.ge/5355>.

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი, მეორე, მესამე წარდგენა), 2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების გადამუშავებული დოკუმენტი და ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით

დადგენილ ვადებში. პარლამენტმა დაამტკიცა „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“ და იგი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - <https://mof.ge/5477>.

წლის განმავლობაში ფაქტიური მაჩვენებლების და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, განხორციელდა წლიური ბიუჯეტის კანონში კიდევ ერთი ცვლილება (2021 წლის 2 დეკემბერი; №1070-VIII-Xმპ). 2021 წლის მეორე ნახევარში შენარჩუნდა პროგნოზირებულზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები, 10 თვის წინასწარი მაჩვენებლების მიხედვით რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 10.5% შეადგინა, 2021 წლის ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი განისაზღვრა 10,0%-ის ოდენობით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 8,0%. ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ზრდიდან გამომდინარე, გაიზარდა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზიც და 2021 წლის ივლისში პროგნოზირებული 57,2 მლრდ ლარის ნაცვლად, განახლებულ მაკროეკონომიკურ სცენარში მშპ-ის პროგნოზი განისაზღვრა 58,5 მლრდ ლარის ოდენობით. ამასთან, გადასახდელების ნაწილში (19 796,1 მლნ ლარი, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაიზარდა 297,4 მლნ ლარით) ზრდა ძირითადად გამოიწვია COVID-19-თან დაკავშირებული ჯანდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად საჭირო ხარჯების გაზრდამ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - <https://mof.ge/5355>.

1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და წარდგენილია საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტისთვის.

2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საშუალოვადიან პერიოდში მთავრობის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზები მომზადებულია არსებული პოლიტიკის და პოლიტიკის ცვლილების შემთხვევაში და შესაბამისი ინფორმაცია ასახულია 2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში არანაკლებ შემდეგი მიმართულებებით: განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა, დევნილთა საკითხები, შრომა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა.

წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებისგან გადახრის გამომწვევი მიზეზების თაობაზე მომზადებულია ინფორმაცია და თან ახლავს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

მომზადებულია კონცეფცია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების პროცესში მხარჯავი დაწესებულებების მიერ შესამუშავებელი ინფორმაციის საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ePFMS) ინტეგრირების მიზნით.

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: 2021-2024 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს დაემატა მუნიციპალიტეტებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაცია და მომზადდა დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2021-2024 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.¹

მომზადდა „2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და

¹ <https://www.mof.ge/5321>

დამტკიცდა 2021 წლის 26 თებერვლის N77 დადგენილებით. დადგენილებით შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც მხარჯავი დაწესებულებები, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით, ეტაპობრივად წარმოადგენენ ინფორმაციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. აღნიშნული დადგენილება ხელმისაწვდომია სსიპ-საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.²

მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილი) საქართველოს მთავრობას წარედგინა ინფორმაცია ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. დოკუმენტი განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - <https://www.mof.ge/images/File/2021-monacemebi-mimartulebebi/03-06-2021/saministroebis%20ziritadi%20mimartulebebi.docx>

ახალი პოლიტიკის მიმართულებების ასახვა მოხდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პაკეტში (ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში), რომელიც წარედგინა საქართველოს პარლამენტს. მათ შორის შენარჩუნდა 2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტით გათვალისწინებული საშუალოვადიანი პერიოდის დასაწყისში დაგეგმილი ახალი პოლიტიკის მიმართულებები და ასევე გაიმიჯნა 2023-2026 წლების საშუალოვადიანი პერიოდის დასაწყისში დაგეგმილი მიმართულებები. სულ ბიუჯეტის პროექტს თან ახლავს განმარტებები ახალი პოლიტიკის შემდეგ მიმართულებებზე:

- ✓ ახალი კორონავირუსის (COVID-19) წინააღმდეგ ეკონომიკური მხარდაჭერის პოლიტიკის ახალი მიმართულებები - სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა;
- ✓ მეწარმეობის ხელშეწყობის ახალი პოლიტიკის მიმართულება;
- ✓ საპენსიო პოლიტიკის ახალი მიმართულება - პენსიის ინდექსაცია;
- ✓ სოციალური დაცვის ახალი მიმართულება - ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ✓ მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების ახალი მიმართულებები: სამედიცინო დაზღვევის თანადაფინანსება, ორგანოთა ტრანსპლანტაცია, სპინალურ-კუნთოვანი ატროფია, გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგი.
- ✓ შრომის პირობების უსაფრთხოების პოლიტიკის ახალი მიმართულება;
- ✓ დასაქმების პოლიტიკის ახალი მიმართულება;
- ✓ ზოგადი განათლების რეფორმის ახალი მიმართულებები: მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა და შრომის ანაზღაურების ზრდა, „ახალი სკოლის“ მოდელის დანერგვა.

2022-2025 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი მომზადებულია და წარედგინა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.³

1.3 პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სამინისტროების და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის დონორების მხარდაჭერით.

პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის განახლება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

² <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5111933?publication=0>

³ <https://mof.ge/5477>

პროგრესი: პროგრამული ბიუჯეტების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის და ნიდერლანდების სამეფოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის მაისის თვეში 27 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებისთვის, რომელთაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 2019 წელს, ონლაინ ფორმატში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ასპექტებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე განხილულ იქნა პრაქტიკული დავალებები, რომლებიც წინასწარ გადაეგზავნათ მონაწილეებს განსახილველად, ასევე გაზიარებული იყო შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების ძირითადი პრინციპები და საერთაშორისო გამოცდილება.

1.4 საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტში და საბიუჯეტო დოკუმენტაციაში, როგორც დასაგეგმი, ისე შესრულების შესახებ ინფორმაციაში ფისკალურ დისციპლინასთან შესაბამისობის შესახებ დეტალური განმარტებების ასახვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად 2020 წელს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობას მიეცა შესაძლებლობა ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით ემოქმედა კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური პარამეტრების ზღვრების მიღმა. შესაბამისად, 2021 წლის ბიუჯეტის კანონს თან ახლდა დადგენილ ფისკალურ ზღვრებში დაბრუნების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ფისკალურ ზღვრებში დაბრუნებას 2023 წლიდან. მომზადდა განახლებული დოკუმენტი „საშუალოვადიანი პროგნოზების შედარება და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესებით გათვალისწინებულ ზღვრებში დაბრუნების პროგნოზი“, რომელიც თან დაერთო 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.⁴

1.5 საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, ფისკალური რისკების მართვის სამმართველო (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი საინვესტიციო პროექტების შეფასება საინვესტიციო პროექტების შეფასების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესასრულებლად საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად და წარდგენა უწყებათაშორის საბჭოზე განსახილველად.

არანაკლებ ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მთლიანი ღირებულების 75%-ისთვის განხორციელებული წინასწარი შერჩევა და შეფასება საინვესტიციო პროექტების გზამკვლევის და მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის გადამუშავება.

მხარჯავი დაწესებულებების და მუნიციპალიტეტების შესაბამისი თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით.

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახურთან თანამშრომლობით მუშაობის პროცესი აქტიურ ფაზაშია საინვესტიციო პროექტების მართვის ელექტრონული პორტალის ინფორმაციის საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ePFMS) ინტეგრირების მიზნით.

⁴ <https://mof.ge/images/File/2022-biujeti/21-12-2021/DanarTebi/21.prognozebis%20shedareba%202022%20-3.docx>

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა ეკონომიკურმა რეცესიამ გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებზე და ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილებზე. შეიზღუდა მთელი რიგი ეკონომიკური საქმიანობები, ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობისა და დიაგნოსტიკისათვის საჭირო ხარჯებთან ერთად აუცილებელი გახდა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით.

შესაბამისად, გარკვეულწილად შეფერხდა როგორც არსებული საინვესტიციო პროექტების განხორციელება, ასევე შეიზღუდა ახალი პროექტების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები. მიუხედავად ამისა, განხორციელდა 13 ახალი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის შეფასება. მათ შორის, 9 პროექტი წარმოდგენილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 1 პროექტი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, ხოლო 3 პროექტი განხილულ იქნა დონორებთან თანამშრომლობის ფარგლებში. პროექტების ეკონომიკური ანალიზი ემყარება ინიციატორი უწყების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. აღნიშნული 13 ახალი საინვესტიციო პროექტის ეკონომიკური ანალიზი, პროექტების რეესტრი და შემაჯამებელი ინფორმაცია ამ პროექტების შერჩევის და შეფასების შესახებ წარმოადგენს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პაკეტის ნაწილს და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.⁵

1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

2020 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და საქართველოს პარლამენტისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ განმარტებებს, დაგეგმილ და მიღწეულ მიზნებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებული ინფორმაცია წინა წლის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

2021 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;

მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების რეტროსპექტიული გადახედვა და რეკომენდაციების ანალიზი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მომზადდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. შესრულების ანგარიში მოიცავს ფისკალური წესების შესახებ ინფორმაციას, მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს და ინდიკატორებს და განმარტებებს განსხვავებების შესახებ. წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადდა ინფორმაცია საქართველოში ახალი

⁵ <https://mof.ge/5477>

კორონავირუსის COVID-19-ის გავრცელების და მასზე ფისკალური პასუხის შესახებ და დანართის სახით დაემატა შესრულების ანგარიშს, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის 2020 წლის წლიური შესრულების ანგარიში რედაქტირებად ფორმატში (მოიცავს როგორც word-ის, ასევე excel-ის ფაილებს) განთავსებულია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.⁶

კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური (3, 6 და 9 თვის) ანგარიშები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე - <https://mof.ge/5429>.

1.7 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები)

შესრულების მაჩვენებელი:

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) ფუნქციონირებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ 2022 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საანგარიშო პერიოდში მომზადებული ბიუჯეტთან დაკავშირებული საბიუჯეტო დოკუმენტაცია, მათ შორის, ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) მიხედვით ყველა ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან განხორციელდა ღია ბიუჯეტის კვლევის კითხვარის განხილვა და გარკვეულ კითხვებთან მიმართებაში დაფიქსირდა განსხვავებული შეფასება ან/და კომენტარი შეფასების გამოსწორების მიზნით. შეფასება მოიცავს 2019-2020 წელს, თუმცა მიუხედავად 2020 წლის განმავლობაში COVID-19 პანდემიით გამოწვეული შეფერხებებისა, მოსალოდნელია რეიტინგის შენარჩუნება.

ფუნქციონირებს ბიუჯეტის მომზადების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პლატფორმა (eBTPS.mof.ge) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, რომლის საშუალებით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში - <https://ebtps.mof.ge/>

მომზადებულია 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი და გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მომზადებულია ბიუჯეტის ბროშურა, ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის და შესრულების ანგარიშების მოკლე გზამკვლევები, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე - https://mof.ge/mokalakis_gzamkvlevi

⁶ <https://www.mof.ge/5411>

1.8 მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მუნიციპალიტეტები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: ხორციელდება მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე გასაფორმებელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული 2021 წლის განმავლობაში განსახორციელებელი პირობების შესრულების მიზნით, საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით. ხორციელდება ამ პირობების შესრულების მონიტორინგი. დამატებით არანაკლებ 10 მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

გაანალიზებულია მუნიციპალურ დონეზე ჩატარებული სახელმწიფო ხარჯების და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების ანალიზი (Public Expenditure and Financial Accountability Assessment at sub-national level (PEFA)) დამატებით არანაკლებ 5 მუნიციპალიტეტში.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდა დამატებით 12 მუნიციპალიტეტთან (ქ. გორი, ქ. ზუგდიდი, ქობულეთი, ოზურგეთი, თელავი, ბოლნისი, ასპინძა, ჭიათურა, ახალციხე, საჩხერე, ყვარელი, მესტია), რომლებიც წინა წლის განმავლობაში შეფასდნენ PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით GIZ-ის და USAID-ის მხარდაჭერით. მემორანდუმები მოიცავს 2021-2023 წლებისთვის სამიზნე მაჩვენებლებს. სულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია 39 მუნიციპალიტეტთან 2019-2021 წლებში.

მემორანდუმებით გათვალისწინებული 2021 წელს განსაზღვრული სამიზნე ინდიკატორების შესრულებიდან გამომდინარე, კაპიტალური გრანტი გამოეყო 34 მუნიციპალიტეტს 2021-2022 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებიდან 11 მუნიციპალიტეტს ჯამში 12.0 მლნ ლარის ოდენობით. მათ შორის, 2021 წლის ბიუჯეტიდან 5.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

N	მუნიციპალიტეტის დასახელება	კაპიტალური გრანტის ოდენობა (ათასი ლარი)
1	რუსთავის მუნიციპალიტეტი	800,0
2	გარდაბანის მუნიციპალიტეტი	550,0
3	მარნეულის მუნიციპალიტეტი	550,0
4	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	550,0
5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	500,0
6	თელავის მუნიციპალიტეტი	400,0
7	ონის მუნიციპალიტეტი	400,0
8	ქობულეთის მუნიციპალიტეტი	400,0
9	დუშეთის მუნიციპალიტეტი	300,0
10	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	300,0
11	გორის მუნიციპალიტეტი	250,0
	სულ	5 000,0

დამატებით 23 მუნიციპალიტეტს, 2021 წლის სამიზნე მაჩვენებლების შესრულებიდან გამომდინარე, 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხიდან გამოეყო კაპიტალური გრანტი 7.0 მლნ ლარის ოდენობით, რომელიც გადანაწილდა შემდეგნაირად:

N	მუნიციპალიტეტის დასახელება	კაპიტალური გრანტის ოდენობა (ათასი ლარი)
1	ქუთაისის მუნიციპალიტეტი	750,0
2	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	500,0
3	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	450,0
4	ხაშურის მუნიციპალიტეტი	400,0
5	გურჯაანის მუნიციპალიტეტი	400,0
6	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	400,0
7	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	400,0
8	სენაკის მუნიციპალიტეტი	350,0
9	ფოთის მუნიციპალიტეტი	350,0
10	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	350,0
11	მცხეთის მუნიციპალიტეტი	300,0
12	საჩხერის მუნიციპალიტეტი	300,0
13	ბორჯომის მუნიციპალიტეტი	300,0
14	ბოლნისის მუნიციპალიტეტი	250,0
15	ქარელის მუნიციპალიტეტი	200,0
16	ყვარელის მუნიციპალიტეტი	200,0
17	თერჯოლის მუნიციპალიტეტი	200,0
18	მარტვილის მუნიციპალიტეტი	200,0
19	ახალციხის მუნიციპალიტეტი	200,0
20	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	200,0
21	ჭიათურის მუნიციპალიტეტი	100,0
22	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	100,0
23	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	100,0
	სულ	7 000,0

GIZ-ის და USAID-ის მხარდაჭერით მიმდინარე წელს დამატებით მომზადდა 10 მუნიციპალიტეტის შეფასება (ვანი, წალენჯიხა, ხულო, ქედა, ბაღდათი, ხარაგაული, ამბროლაური, თეთრიწყარო, ჩხოროწყუ, ახმეტა) PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით. ჯამში 2017 წლიდან შეფასებულია 51 მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსები PEFA-ს ინდიკატორების გამოყენებით.

1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

II- აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობის მიზნით, განხორციელებულია ანალიზი; აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისობისა და ზოგადად, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა-გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ნორმატიული აქტების ანალიზი. ანალიზის შედეგად მომზადდა და დამტკიცდა შემდეგი ნორმატიული აქტები: „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანება; „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ; „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსური ანგარიშგების ფორმები დახვეწილია/გაუმჯობესებულია და შეესაბამება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქცია, ფინანსური ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების ფორმებთან ერთად. აღნიშნული ფორმების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მომზადდა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებები და წარმოდგენილ იქნა სახაზინო სამსახურში. მუნიციპალიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკები 2021 წლის და შემდგომი წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს მოამზადებენ აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელსაც 2022 წლის 1 აპრილამდე წარმოადგენენ სახაზინო სამსახურში.

შენიშვნა: დასრულებულია

1.3 საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ. გამართვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო სექტორის ბუღალტრები გადამზადებულები არიან და პრაქტიკაში იყენებენ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ. ფარგლებში მიღებულ ცოდნას IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: პროგრესი: ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარეობს ტრენინგები საჯარო სკოლების ბუღალტრებისთვის IPSAS სტანდარტების სწავლებასთან დაკავშირებით. ასევე, GIZ-ის დახმარებით ტარდება ტრენინგები ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ა(ა)იპ-ების ბუღალტრებისთვის, რაც გულისხმობს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას, IPSAS-ების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

შენიშვნა: დასრულებულია

1.4 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ნორმატიულ აქტებში შეტანილია ცვლილებები სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2021 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი ხელისუფლების და ავტონომიური რესპუბლიკების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ სამოქმედოდ შემოღებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

შენიშვნა: დასრულებულია

1.5 მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადებულია მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამჭვირვალობისთვის გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადებულია სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც ასევე დანართების სახით მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსურ ინფორმაციასაც. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მიზნებისათვის გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.ge

შენიშვნა: დასრულებულია

1.6 IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სტანდარტების მუდმივი თარგმნა/განახლება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან (IFAC) მემორანდუმის ფარგლებში, IPSAS სტანდარტები თარგმნილია/განახლებულია და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: არ დაწყებულა

1.7 საჯარო სექტორში დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დამატებით შემოღებულია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტები და მომზადებულია შესაბამისი ცვლილებები აღრიცხვა-ანგარიშგების მეთოდოლოგიაში

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: არ დაწყებულა

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება

2.1 სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ჩატარებულია შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა; შემუშავებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა; ბიზნეს-პროცესები დახვეწილია/გამარტივებულია და გამართულად ფუნქციონირებს

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება

შენიშვნა: ნაწილობრივ განხორციელდა

2.2 სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლები გადამზადებულები არიან ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: არ დაწყებულია

III- მთავრობის ვალის მართვა

1. მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის შემუშავება 2021-2023 წლისთვის. ასევე, შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილების შეტანით მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიანი სტრატეგიის ყოველწლიური განახლების დანერგვა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა მთავრობის ვალის მართვის 2022-2025 წლების სტრატეგია, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ. სტრატეგია ორიენტირებულია 5 სტრატეგიულ მიმართულებაზე, თითოეული მიმართულებით აწესებს მიზნობრივ ინდიკატორებს და სახავს მათი მიღწევის გეგმას:

1. მთავრობის წმინდა ვალის მშპ-თან ფარდობის შემცირება;

2. მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა;
3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა;
4. მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯის და რისკის ოპტიმიზაცია;
5. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

სტრატეგიის დოკუმენტი გამოქვეყნებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-ვერდზე.

2. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

2.1 პირველადი დილერების სისტემის დანერგვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა

2.1.1 პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან კონსულტაციებით პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიაზე მუშაობის პირველი ეტაპი; მეთოდოლოგიის განხილვა მოხდა ეროვნული ბანკის და პირველადი დილერების წარმომადგენლებთან.

2.1.2 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული შეფასების მეთოდოლოგიით პირველადი დილერების შეფასება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს პირველადი დილერების შეფასების მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის და სრულყოფის პროცესი, რის შემდეგაც მოხდება მისი დამტკიცება ფინანსთა მინისტრის მიერ და გამოქვეყნდება ფინანსთა სამინისტროს საიტზე. მომავალი წლისთვის იგეგმება პირველადი დილერების შეფასება.

2.1.3 პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შეფასების შედეგების გათვალისწინებით შესაძლებელია გახანგრძლივდეს პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა ახალი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციის პროგრამაში ჩართვით ან მოხდეს პირველადი დილერების სრულყოფილ სისტემაზე გადასვლა.

პერიოდი: მაისი -დეკემბერი

პროგრესი: პირველადი დილერების საპილოტე პროგრამის გაფართოების აუცილებლობა გამოიკვეთება საპილოტე პროგრამის შეფასების შემდეგ.

2.2 ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებულია ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტი და მიმდინარეობს მისი დამუშავების პროცესი; მომავალი წლისთვის იგეგმება სტრატეგიის დასრულება და საიტზე გამოქვეყნება; მომავალი წლიდან, ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება საიტზე დამატებით რამდენიმე რეპორტის განთავსება და მისი რეგულარული განახლება.

შენიშვნა:

2.3 სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს კანონის სახელმწიფო ვალის შესახებ განახლება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის მეორე კვარტალში მსოფლიო ბანკის მისიის დახმარებით სახელმწიფო ვალის შესახებ კანონში გამოიკვეთა ცვლილებების შეტანის საჭიროება; მომავალი წლისთვის იგეგმება ინტენსიური მუშაობა სახელმწიფო ვალის კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად.

IV- საგადასახადო და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება

1.1 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: - საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის მომზადება 2003 წლის 27 ოქტომბრის საბჭოს 2003/96/EC დირექტივასთან ევროგაერთიანების ფარგლებში ენერგოპროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის ჩარჩოს რესტრუქტურისაციის შესახებ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილებების პროექტის სამუშაო ვერსია.

1.2 საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს საბაჟო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფაზე მუშაობის გაგრძელება, ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის მიზნით და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ფარგლებშიც აქტიურად მიმდინარეობს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნის ამოქმედებასთან დაკავშირებული სამუშაო პროცესი. შემუშავებულია ცვლილებების პაკეტი და გრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

მიღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევისას სავალდებულოდ წარსადგენი გარანტიის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრა პირის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა.

მიღებულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა წინასწარ დეკლარირებულ საქონელზე გაფორმების პროცედურების საბაჟო გამშვებ პუნქტშივე დასრულება.

შემუშავდა „გზატარგებლობის საფასურის ოდენობისა და მის გადახდასთან დაკავშირებული პროცედურებისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 ივლისის №213 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დადგენილება შესაბამისობაში მოდის „სავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონთან. კერძოდ ყალიბდება ერთიანი მიდგომა სხვადასხვა გამშვებ პუნქტებზე საფასურის ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.

ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გამტარი პუნქტების შესახებ“ შეთანხმებას.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) ყოველწლიური ნოტიფიცირების ფარგლებში მომზადდა კითხვარი, იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომელიც გავლენას ახდენს იმპორტზე.

დასკვნით ეტაპზეა „საქართველოს მთავრობასა და კანადის მთავრობას შორის საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმების გაფორმება.

მიღებულთ ეტაპზეა „საქართველოს მთავრობასა და კანადის მთავრობას შორის საბაჟო სფეროში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ საქონლის შემოტანისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის წესი და პირობები.

ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საბაჟო სფეროში თანამშრომლობისა და ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმებას.

მიმდინარეობდა მთავრობა-საქართველოს მთავრობას, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტის ფარგლებში საბაჟო სატრანზიტო პროცედურების გამარტივების მიზნით წინასწარი მონაცემთა გაცვლის შესახებ“ შეთანხმების პროექტზე

განახლდა საქართველოსა და არაბთა გაერთიანებული სამეფოს შორის „საბაჟო სფეროში თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“ შეთანხმების პროექტი და მომზადდა ფინანსთა სამინისტროს დასკვნა.

1.3 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების / არსებული შეთანხმებების განახლების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება;

საგადასახადო მიზნებისთვის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისო საგადასახადო სტანდარტების დანერგვა და მათი სრულყოფა. ამასთან, გლობალური ფორუმის ახალი 2016 წლის მეთოდოლოგიის შესაბამისად მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის შესაბამისად სინთეზური ტექსტების მომზადება და შესრულების მონიტორინგი;

პერიოდი: ივლისი-სექტემბერი

2021 წლის პირველ ივლისს ძალაში შევიდა შეთანხმება „საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონ ჰონგ კონგს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის და გადასახადების თავიდან არიდების აღკვეთის შესახებ“, ხოლო 23 ივლისს ძალაში შევიდა კონვენცია „საქართველოსა და იაპონიას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“.

2021 წლის 7 ივლისს ხელი მოეწერა „საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობისა და გადასახადებისთვის თავის არიდების აღკვეთის შესახებ“ შეთანხმებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) BEPS-ის სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის შესაბამისად მომზადდა სინთეზირებული ტექსტები ლიტვასთან, ნიდერლანდების სამეფოსთან, სინგაპურთან.

2021 წლის 1 ივლისს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის განცხადებას საერთაშორისო დაბეგვრის რეფორმისთვის ახალი ჩარჩოს შექმნის თაობაზე. აღნიშნული ჩარჩო ითვალისწინებს ორსვეტიან გეგმას, მულტინაციონალური კომპანიების მიერ თავიანთი გადასახადების სამართლიანი წილის გადახდის უზრუნველსაყოფად.

2. კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

2.1 კანონშესაბამისობის გაუმჯობესების პროგრამების დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. დანერგილია არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენის პროგრამა;
2. დანერგილია მონაცემთა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამა;
3. დანერგილია დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელების სტატუსის განსაზღვრის პროგრამა;
4. დანერგილია დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის პროგრამა;
5. დანერგილია დღგ-ის დეკლარირებით შესამცირებლად გაანგარიშებული ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების ვალიდაციის რისკის მოდული;
6. დანერგილია მარაგების მართვის პროგრამა;
7. დანერგილია დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვის პროგრამა;
8. დანერგილია დაქირავებულ პირთა რეესტრის კონტროლის პროგრამა.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: 2021 წელს, შემოსავლების სამსახურში სრულად ამოქმედდა **კანონშესაბამისობის რისკის მართვის ახალი პროგრამები**, რაც გულისხმობს გადასახადის გადამხდელის საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო შეუსაბამოების შესახებ მათ ადრეულ ეტაპზე ინფორმირებას და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებას. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი პროგრამების დანერგვა:

- **არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენა**, რომლის მიზანია სარეგისტრაციო ბაზის სისრულის უზრუნველყოფა, მათ შორის არარეგისტრირებული პირების გამოვლენა და საგადასახადო რეგისტრაცია;
- **დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელების სტატუსის განსაზღვრა**, რომლის მიზანია რისკებზე დროული რეაგირება და დღგ-ის გადამხდელად არამიზნობრივი რეგისტრაციების რაოდენობის დინამიკაში შემცირება.
- **დაქირავებულ პირთა რეესტრის კონტროლი**, რაც მიზნად ისახავს დაქირავებულ პირთა შესახებ დამქირავებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის კონტროლს.
- **დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაცია**, რომლის მიზანს წარმოადგენს გადასახადების მიხედვით გადასახადის გადამხდელთა რეესტრის ვალიდაცია და დროული დეკლარირების უზრუნველყოფა.
- **დღგ-ის ავტომატური დაბრუნების ვალიდაციის რისკის მოდული**, რომლის მიზანია გადასახადის გადამხდელების მიერ დღგ-ის დეკლარირების პროცესში დაშვებული შეცდომების შემცირება.
- **დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვა**, რაც მიზნად ისახავს გამოწერილი და დაუბეგრავი დოკუმენტების რაოდენობის ზრდის ტემპის შემცირებას.
- **მონაცემთა ხარისხის კონტროლი**, რომლის მიზანია შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში გადასახადის გადამხდელთა შესახებ მონაცემების სისწორის და სისრულის უზრუნველყოფა.
- **მარაგების მართვა**, რაც მიზნად ისახავს დაუდეკლარირებელი მარაგების რისკის მქონე გადასახადის გადამხდელთა რაოდენობის შემცირებას.

2.2 ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

დეკლარაციების აუდიტის პროგრამა დანერგილია მოგების, აქციის, ქონების და ყოველთვიურ საშემოსავლო გადასახადებში.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერების მიზნით ინერგება დეკლარაციების აუდიტის ახალი პროგრამა.

ყოველთვიური მოგების გადასახადის დეკლარაციისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის სისწორის კონტროლის პროგრამების ფარგლებში, მიმდინარეობს საგადასახადო რისკების მოდულის ავტომატური ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის მონაცემთა საცავში ინტეგრაცია და ქეის მენეჯმენტის ლოგიკების პროგრამული უზრუნველყოფა. პარალელურ რეჟიმში, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, მიმდინარეობს პროცედურების სატესტო რეჟიმში დანერგვა და პრაქტიკული შედეგების ანალიზი. დასამტკიცებლად მომზადებულია პროცედურული სახელმძღვანელოები.

მიმდინარეობს აქციის დეკლარაციის სხვადასხვა ისტორიული ვერსიების გრაფების შესაბამისობის ანალიზი და გამოყენებული ვალიდაციის პირობების შეფასება. განვლილ პერიოდში წარმოდგენილი დეკლარაციების გრაფების ინდივიდუალური ანალიზის საფუძველზე დამუშავდა ჩათვლის გრაფებისთვის მოქმედი ლოგიკები. ასევე, გამოვლენილია ხარვეზები და შემუშავებულია დამატებითი ლოგიკური ვალიდაციები, აქციის გადასახადის დეკლარაციის ჩათვლის გრაფების სისწორის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის.

ქონების გადასახადი - განხორციელდა ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების დეტალური ანალიზი. ანალიზის შედეგად მოხდა ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების იდენტიფიკაცია, მათ მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და მფლობელობაში არსებული ქონების შესაბამისად და 2021 წლის სავადო თარიღამდე განხორციელდა შეხსენებითი საინფორმაციო კამპანია მოსალოდნელი ვალდებულებების დეკლარირების უზრუნველსაყოფად.

განახლებულია და შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებულია საინფორმაციო ვიდეორგოლი ქონების გადასახადის გადამხდელებისთვის. დამუშავდა მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელთა რეესტრი და მაღალრისკიანი გადამხდელების მიმართ გატარდა კონტროლის ღონისძიებები.

2.3 ძირითად გადასახადის სახეებში სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. მცირე და მსხვილი კატეგორიის გადასახადი გადამხდელების წარუდგენელ დღგ-ის დეკლარაციებზე მიმდინარეობს სავარაუდო დარიცხვა;
2. მოგების, საშემოსავლო და აქციის წარუდგენელ დღგ-ის დეკლარაციებზე მიმდინარეობს სავარაუდო დარიცხვა;
3. დარეგისტრირებულ თანამშრომელთა რაოდენობის წილი გამოკითხული შერჩევითი ერთობლიობიდან ნაკლებია 30%-ზე.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: **სავარაუდო დარიცხვის მექანიზმი** 2021 წელს ამოქმედდა ყველა სიდიდის კატეგორიის გადასახადის გადამხდელების (გარდა ფიზიკური პირისა) მიერ წარუდგენელი დღგ-ის დეკლარაციების მიმართ. საშუალოდ ყოველთვიურად სავარაუდო დარიცხვა ხორციელდება სამი ათასი გადამხდელის მიმართ. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ყოველთვიური სტატისტიკური ანალიზი, რომლის გათვალისწინებით, მომზადდა შემაჯამებელი ანგარიშის პროექტი და პრეზენტაცია. დაკორექტირდა სავარაუდო დარიცხვის შესახებ შიდა ინსტრუქცია. 2021 წლის დეკემბერში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც სავარაუდო დარიცხვის განხორციელება 2022 წლის თებერვლის საანგარიშო პერიოდიდან იგეგმება ასევე დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული ყველა კატეგორიის გადასახადის გადამხდელების (გარდა ფიზ. პირი) მიერ წარუდგენელი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციისა და გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციების მიმართ.

2.4 აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. აუდიტის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი გადამზადებულია;
2. აუდიტის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი საგადასახადო შემოწმების პროცესის მართვაში იყენებს აუდიტის ქეის მენეჯმენტის პროგრამას;
3. ახალი შემოწმებები ინიცირებულია აუდიტის ქეის მენეჯმენტის პროგრამაში.

პერიოდი: იანვარი- მაისი

პროგრესი: 2021 წელს, შემოსავლების სამსახურში რეალურ რეჟიმში ამოქმედდა აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. ახალი სისტემის - Microsoft Dynamics CRM მიზანია საგადასახადო შემოწმების პროცესების გაელექტრონულება და მისი ეფექტიანად წარმართვა, რომლის საშუალებითაც მოხდება საგადასახადო შემოწმების მთლიანი პროცესის ელექტრონულად ზედამხედველობა.

პროგრამის საშუალებით განხორციელდება საგადასახადო შემოწმების ყველა ეტაპის (დაგეგმვიდან დასრულებამდე) პროგრამულად ასახვა და თანამშრომლებს ელექტრონული წვდომა ექნებათ ყველა იმ დოკუმენტთან (საკანონმდებლო აქტები, დავების გადაწყვეტილება, აუდიტის დასკვნა და სხვა), რომელიც საჭიროა მიმდინარე საგადასახადო შემოწმების პროცესში.

2.5 მონაცემთა ანალიზის და მართვის სისტემის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. არანაკლებ 100 მომხმარებელი გადამზადებულია და იყენებს მონაცემთა ანალიზისა და მართვის სისტემას;

2. არანაკლებ 100 ძირითად პროცესზე მომზადებულია ავტომატიზირებული დინამიური ანგარიშები.
პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: 2021 წელს შემოსავლების სამსახურში დაინერგა მონაცემთა დამუშავების და ანალიზის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურში არსებული და მესამე მხარიდან მისაღები მონაცემების შეგროვებას და ანალიზს, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის ანალიტიკურ შესაძლებლობების გაძლიერებას და სანდო ინფორმაციაზე დაფუძნებული სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებას. ასევე, გააუმჯობესებს ინფორმაციაზე ოპერატიულ წვდომას და სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

აღნიშნულ სისტემა ახდენს მონაცემთა საცავში სხვადასხვა წყაროდან შემოსული ინფორმაციის ტრანსფორმაციას იმგვარად, რომ გამოირიცხოს ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხარვეზები. სისტემაში ინტეგრირებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც სამსახურს უმარტივებს გადასახადისგან თავის არიდების შემთხვევების გამოვლენას.

ამასთან, 2021 წლის მდგომარეობით, ინფორმაციის მიღება/გაცვლაზე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია ათზე მეტ სახელმწიფო უწყებასთან, რომლის ფარგლებშიც სისტემატიურ რეჟიმში მიმდინარეობს ინფორმაციის მიღება/გაცვლა.

3. საბაჟო რისკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება

3.1 eTIR სისტემის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია;
2. პროგრამული უზრუნველყოფა დანერგილია;

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: 2021 წლის მაისში გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის-UNECE TIR სამდივნოს მხარდაჭერით დამტკიცდა TIR კონვენციის მე-11 დანართი, რომელიც TIR სისტემის გაციფრულებას გულისხმობს. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, შემოსავლების სამსახური ჩაერთო eTIR პროექტის დანერგვაში, რომელიც გულისხმობს TIR ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლას საქართველოსა და გაეროს ერთიან სერვერს შორის. მომზადებულია პროგრამული უზრუნველყოფის ე.წ. „დეველოპმენტ“ ვერსია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს, eTIR სამდივნოსა და საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირის (IRU) შორის ინფორმაციის გაცვლას. დაგეგმილია, რომ აღნიშნული პლატფორმით მოხდება კონვენციის ყველა მონაწილე საბაჟო ადმინისტრაციას შორის TIR ინფორმაციის გაცვლა.

3.2 საბაჟო რისკების მართვის სისტემაში API PNR მონაცემების ინტეგრირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. PIU ჯგუფი შექმნილია;
2. პროგრამა სატესტო რეჟიმში ამუშავებულია.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: საბაჟო ორგანოს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი პროგრამა სატესტო რეჟიმში ამოქმედებულია. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ავიაკომპანიებთან, მგზავრთა შესახებ წინასწარი ინფორმაციის სატესტო რეჟიმში მოწოდებასთან დაკავშირებით.

4. ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა

4.1 დღგ-ის კანონმდებლობის იმპლემენტაციისა და ინტერპრეტაციისთვის შესაბამისი დოკუმენტებისა და სისტემების შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. დღგ-ს კანონმდებლობის იმპლემენტაციის/ინტერპრეტაციის მიზნით შემუშავებულია სახელმძღვანელო/მაგალითები, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით;
2. ფიზიკური პირისთვის უცხო ვქვეყნიდან ელექტრონულად გაწეული მომსახურების დღგ-თი დაბეგვრის ადმინისტრირებისთვის შექმნილია და ამოქმედებულია შესაბამისი სისტემა და პლატფორმა.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

1. საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან დაახლოების მიზნით, ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში და დღგ-ის მარეგულირებელი დებულებები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული დღგ-ის რეფორმა აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს, ამცირებს სადავო შემთხვევებს და ამარტივებს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას.
2. დღგ-ს კანონმდებლობის ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით, 2021 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა ცვლილება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში და დადაინერგა უცხოელი დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე დღგ-ის გამოანგარიშების, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების და მისი ინფორმირების წესი. კერძოდ, უცხოელი დასაბეგრი პირი, რომელიც არ არის დაფუძნებული ან ჩვეულებრივ არ ცხოვრობს საქართველოში, ან საქართველოში არ გააჩნია ფიქსირებული დაწესებულება და რომელიც ციფრულ მომსახურებას უწევს ფიზიკურ პირებს საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულია მოახდინოს ციფრული მომსახურების გაწევისთვის დღგ-ს ანგარიშგება და გადახდა. ამ მიზნით, შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავდა სპეციალური პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც უცხოელი დასაბეგრი პირები გაივლიან გამარტივებულ რეგისტრაციას და მოახდენენ დღგ-ის გამოანგარიშებას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას - <https://nr.rs.ge/>.

4.2 ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის მეორე ფაზის განხორციელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. დონორებთან შეთანხმებულია და დამტკიცებულია ავტომატური ინფორმაციის გაცვლის პროექტის მეორე ფაზის სამოქმედო გეგმა;
2. იდენტიფიცირებულია პროექტის განმახორციელებელი და ჩართულ მხარეებს შორის გადანაწილებულია როლები;
3. დაწყებულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი:

გერმანიის ფედერალური ფინანსთა სამინისტროს და საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალური ფორუმის (Global Forum) მხარდაჭერით, გრძელდება ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტი. საპილოტე პროექტის მიზანია საქართველოში წარმატებით დაინერგოს ინფორმაციის ავტომატური გაცვლის სტანდარტი (AEOI), რომელიც აგრეთვე ცნობილია “ანგარიშგების საერთო სტანდარტის” (Common Reporting Standard – CRS) სახელითაც.

პროექტის ფარგლებში, გერმანიის ფინანსთა სამინისტროსთან და გლობალურ ფორუმთან შემოსავლების სამსახურის მხრიდან შეთანხმდა 2021 წელს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების გეგმა, რომლის მიხედვით პროექტში ჩართული მხარეებისთვის განისაზღვრა და შეთანხმდა აქტივობები და პასუხისმგებლობები.

მომზადდა საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებათა პაკეტი, რომელსაც გავლილი აქვს სამართლებრივი ექსპერტიზა გლობალური ფორუმისა და გერმანიის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების მხრიდან. აგრეთვე, ქართულ ენაზე მომზადდა კომპეტენტურ უწყებათა მრავალმხრივი შეთანხმება (MCAA), რომელიც საკანონმდებლო აქტებში შესატან ცვლილებათა პაკეტთან ერთად გაგზავნილია ფინანსთა სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.

საქართველოს მიერ, საერთაშორისო პარტნიორობისა და დიდი ოცეულის (G20) მიმართ ოფიციალურად აღებული ვალდებულების შესაბამისად, საქართველო 2024 წლის პირველი სექტემბრიდან დაიწყებს ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში გაცვლას უცხო ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან.

V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ეკონომიკური აქტივობის გაფართოებული ანალიტიკური პროდუქტები, გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგები, მონაცემთა დამუშავების გაფართოებული ცენტრალიზებული სისტემა

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულია მონაცემთა დამუშავების ცენტრალიზებული სისტემა, რაც MATLAB პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხორციელდება და ხელს უწყობს ინფორმაციის მიღება-დამუშავების ოპერატიულობას. გრძელდება დღ-ს გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ანალიზი დარგების ჭრილში. და ასევე გრძელდება საბაჟოს ოპერატიული მონაცემების ანალიზი საგარეო ვაჭრობის ტენდენციების შესაფასებლად.

1.2 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სამინისტროს ვებ-გვერდზე ქვეყნდება როგორც ყოველთვიური პუბლიკაციები, ასევე - კვარტალური მიმოხილვებიც. გაუმჯობესდა და დაიხვეწა ყოველთვიური ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი. პერიოდულად მიმდინარეობს ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება, რაც მორგებულია ინტერესთა ცალკეულ ჯგუფებზე, მათ შორის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებზე, ინვესტორებზე და ა.შ. გრძელდება ეროვნული ანგარიშების, მიმდინარე ანგარიშისა და საგარეო ვალის ანალიზის დახვეწის პროცესი სხვადასხვა ანალიტიკური თუ ვიზუალური მაჩვენებლების გამოყენებით.

1.3 მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული კვლევითი ნაშრომები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე კვლევითი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა. ამასთან, გრძელდება მუშაობა DSGE მოდელის აღწერისა და კონკრეტული სცენარის ანალიზის გამოქვეყნების პროცესზე.

1.4 ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების განახლებული ანალიზი, DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკური სცენარის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტრო ფისკალური პოლიტიკისა და სხვადასხვა შოკების განვითარების სცენარების შეფასებისთვის იყენებს DSGE მოდელს, რისი მეშვეობითაც ასევე ხორციელდება პოლიტიკური რეფორმებით გამოწვეული ეკონომიკური მდგომარეობის სიმულირება. DSGE მოდელის საშუალებით განხორციელებულია COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეფექტების სიმულირება სხვადასხვა დაშვებების საფუძველზე.

მაკროეკონომიკური რისკების შეფასებასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად ამზადებს ფისკალური რისკების დოკუმენტსა და მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზს. ეს დოკუმენტები მოიცავს როგორც მაკროეკონომიკური რისკების ანალიზსა და მათი რეალიზაციის შედეგებსა და პოლიტიკის პასუხებს, ასევე - სახელმწიფო საწარმოებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის შეთანხმებებიდან მომდინარე რისკებს. აღნიშნული დოკუმენტები მომზადდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტისთვის, ოპტიმისტურ და პესიმისტურ სცენარებთან ერთად, რაც საბოლოოდ თან გაჰყვა ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიას.

1.5 სტრეს-ტესტების ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: DSGE მოდელის გამოყენებით სხვადასხვა სტრეს-ტესტის ანალიზი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში განხორციელდა სტრეს-ტესტის ანალიზი, მოსალოდნელი საგარეო შოკების გასაანალიზებლად და შესაძლო შედეგების სანახავად. სხვადასხვა რისკების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა ეკონომიკური განვითარების სამი სცენარი, რაც საფუძვლად დაედო 2022 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენას.

1.6 საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საშუალო ფისკალური პოლიტიკის დოკუმენტი

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში გამოქვეყნდა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი 2022-2025 (BDD), რომელიც წარმოადგენს ბიუჯეტის საშუალოვადიან ჩარჩოს და მომზადდა ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად და გამოქვეყნდა ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.7 სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სოციალურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა მაკრო-ფისკალური მაჩვენებლებზე

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე პერიოდში აღნიშნული აქტივობა არ განხორციელებულა.

1.8 ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიის საბოლოო ვერსიის შემუშავება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან, როგორცაა Fitch, Moody's და S&P. განხორციელდა სამივე სარეიტინგო კომპანიასთან ვირტუალური შეხვედრები და რეიტინგების განახლება. 2021 წლის ბოლოსთვის საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია: Fitch: BB სტაბილური S&P: BB ნეგატიური; Moody's: Ba2 სტაბილური. გარდა ვირტუალური შეხვედრებისა, მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია სააგენტოების წარმომადგენლებთან ელექტრონული ფოსტითა და ტელეფონით, რა დროსაც მათ ეცნობებათ ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური ტენდენციების ან იმ საკითხების შესახებ, რაც მათთვის აქტუალურია. ამასთან, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებთან ევრობონდების გამოშვების პერიოდშიც მიმდინარეობდა მუდმივი კომუნიკაცია. განახლდა საკრედიტო რეიტინგების გაუმჯობესების სტრატეგია და მიმდინარეობს მუშაობა მის გაუმჯობესებასა და დახვეწაზე.

1.9 საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი. შეფასების არეალის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო დანახარჯების შეფასების ანალიზის მომზადება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის საბოლოო ვერსიას თან გაჰყვა საგადასახადო დანახარჯების ანალიზი, სადაც შეფასებულია დამატებული ღირებულების გადასახადის დანახარჯები როგორც რაოდენობრივად, ასევე - მისი განაწილების სოციალური ეფექტების მიმართულებით. 2021 წელს ჩატარდა ვირტუალური მისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და შეფასდა როგორც საშემოსავლო და მოგების გადასახადებთან დაკავშირებით საგადასახადო დანახარჯები, ასევე განახლდა დამატებული ღირებულების გადასახადის დანახარჯები.

2.1 ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის გაუმჯობესება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის: დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტების შეფასება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე - გრძელვადიანი პერიოდისთვის. 2022 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის წარდგენისას შემუშავებული პროგნოზირების პროცესში გათვალისწინებული იყო 2020-2021 წლებში რეალიზებული საგარეო შოკები.

2.2 სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გამოქვეყნებული ანგარიშები

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ყოველწლიურად ხორციელდება საჯარო ფინანსების აღრიცხვის დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება. აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე როგორც წლიური, აგრეთვე - კვარტალური და თვიური სიხშირით. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს მიერ მზადდება ანალიტიკური მონაცემები ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტებთან/კანონებთან ერთად.

VI - ფისკალური რისკები

1. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა

1.1 სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების დანერგვას. დოკუმენტი მოწონებულია პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. სამინისტრო აღნიშნულ დოკუმენტს მთავრობას წარუდგენს „სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭოს“ გავლით საბჭოს მიერ მოწონების შემთხვევაში.

პერიოდი: იანვარი - მარტი

პროგრესი: საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის მხარდაჭერით შემუშავდა სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის პროექტი. სტრატეგია ეყრდნობა სახელმწიფო საწარმოებისთვის OECD-ს მიერ განსაზღვრულ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო პრინციპებს. სტრატეგია ფინანსთა სამინისტრომ 2021 წლის მე-4 კვარტალში თან დაურთო ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს.

1.2 სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად შეიმუშავებს სახელმწიფო კორპორაციების (სახელმწიფო საწარმოების) შესახებ კანონის პროექტს და მასთან დაკავშირებულ კანონქვემდებარე აქტებს, რომელსაც წარუდგენს სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის საბჭოს დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის უზუზუნველსაყოფად. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა საქართველოს პარლამენტისთვის მოხდება 2022 წლის პირველ კვარტალში.

პერიოდი: აპრილი - დეკემბერი

პროგრესი: სტრატეგიასთან ერთად პარალელურ რეჟიმში მომზადდა სახელმწიფო კორპორაციების კორპორაციული მართვის კოდექსის პროექტი, რომელიც ასევე ეყრდნობა OECD-ს სახელმძღვანელო პრინციპებს. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს სახელმწიფო კორპორაციების და მათი შვილობილი კომპანიების კორპორაციული მართვის პრინციპებს, მაგალითად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს, საბჭოს როლს კორპორაციის მართვაში. დოკუმენტი დამტკიცდა 2021 წლის 8 სექტემბრის N1618 განკარგულებით.

1.3 ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფისკალური რისკების მართვის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საქართველო ფინანსთა სამინისტრო თან დაურთავს ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ, მეორე და მესამე წარდგენებს. დოკუმენტის უმეტეს ნაწილში შენარჩუნდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მესამე წარდგენის სტანდარტი.

პერიოდი: ივლისი- დეკემბერი

პროგრესი: ფინანსთა სამინისტრო იწყებს მუშაობას ფისკალური რისკების დოკუმენტის შედგენაზე ყოველი წლის ივლისის თვიდან. დოკუმენტი მომზადდა და თან დაერთო 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის პირველ, მეორე და მესამე წარდგენებს. წინა წლებისგან განსხვავებით, დოკუმენტს თან დაერთო კლიმატური ცვლილებებისა და სტიქიური მოვლენებიდან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება. ამასთან, დოკუმენტს თან დაერთო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ენერგეტიკული პროექტების ინდივიდუალური შეფასება, რამაც დამატებით გაზარდა ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა.

VII- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: პარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. 4 სამინისტროს მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებთან განხორციელებულია სამუშაო შეხვედრები (workshops) სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემასთან დაკავშირებით. 2. საჯარო დაწესებულებების მენეჯერების მონაწილეობით განხორციელებულია კონფერენცია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის თაობაზე. 3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2020 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის პილოტური დანერგვის ფარგლებში მუდმივად მიმდინარეობს შეხვედრები საპილოტედ შერჩეული სამინისტროების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) მენეჯერებთან და თანამშრომლებთან. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს საჭიროებებზე ორიენტირებული სამუშაო შეხვედრების (workshops) განხორციელება აღნიშნული სამინისტროების წარმომადგენლების ჩართულობით; სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2020 წლის კონსოლიდირებული წლიური ანგარიში მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ.

1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. 4 სამინისტროს მაპროფილებელ დეპარტამენტებში ჩამოყალიბებულია მკაფიო მიზნები და საქმიანობის ინდიკატორები. 2. მინიმუმ 2 სამინისტროს მაპროფილებელი დეპარტამენტების დონეზე ჩამოყალიბებულია და პრაქტიკაში გამოიყენება რისკების რეესტრი; 3. გაფორმებულია მინიმუმ 5 საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმება სამინისტროსა და მის სისტემაში არსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს შორის.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის პილოტური დანერგვის ფარგლებში დაწყებულია საპილოტედ შერჩეულ სამინისტროებში (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო) საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით დაგეგმილია სამუშაო შეხვედრები მაპროფილებელი/დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლებთან. პროექტის ფარგლებში ზემოთ ხსენებულ სამინისტროებში დაიხვეწება მიზნები და ინდიკატორები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მაპროფილებელი დეპარტამენტების დონეზე ჩამოყალიბდა და პრაქტიკაში გამოიყენება რისკების რეესტრები; გრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა სხვა საპილოტე სამინისტროებთან (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო). გაფორმდა 2 საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში მომსახურების გაწევის შესახებ შეთანხმება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში, კერძოდ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. ამ მიმართულებით, მათ შორის 2022 წელს გასაფორმებელი შეთანხმებების შემუშავების მიზნით, აქტიურად გრძელდება მუშაობა ყველა საპილოტე სამინისტროში.

1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. ინსტიტუციურად გაძლიერებულია მინიმუმ 5 მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახური; 2. განხორციელებულია მინიმუმ 15 მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება; 3. განხორციელებულია მინიმუმ 3 ეფექტიანობის აუდიტის, 3 სისტემური აუდიტისა და 1 ინფორმაციული ტექნოლოგიების(IT) აუდიტის პილოტური პროექტი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ჰარმონიზაციის ცენტრის კოორდინირებით და აქტიური ჩართულობით წარმატებით დასრულდა 18 მუნიციპალიტეტის (წყალტუბო, გურჯაანი, ზუგდიდი, თელავი, მცხეთა, რუსთავი, თბილისი, სამტრედი,

ბაღდათი, ლაგოდეხი, ყვარელი, დუშეთი, ჩოხატაური, ყაზბეგი, სიღნაღი, საგარეჯო, ქობულეთი, ხელვაჩაური) შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობის ხარისხის გარე შეფასება; აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა შიდა აუდიტის სუბიექტების ინსტიტუციური გაძლიერებისა და პილოტური პროექტების კუთხით, ამ მიმართულებით მხარდაჭერა გაეწია შემდეგი მუნიციპალიტეტების შიდა აუდიტის სამსახურებს: ზესტაფონი, საგარეჯო, სამტრედია, თერჯოლა, ხობი, დედოფლისწყარო, საჩხერე; რუსთავისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებში განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტის პილოტური პროექტები. ინფორმაციული ტექნოლოგიების(IT) აუდიტის მეთოდოლოგიისა და პილოტური პროექტების თაობაზე შედგა შეთანხმება მსოფლიო ბანკთან. ამ მიმართულებით გაგრძელდება მუშაობა 2022 წელს.

VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა

1. ანგარიშგების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება

1.1 ანგარიშგების პორტალის განვითარება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი:

1. რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარებული ცნობიერების ამაღლების 10 პრეზენტაცია;
2. ნათარგმნი და სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ფასს სტანდარტები;
3. მიზნობრივი აუდიტორიისთვის დონორებისა და სპონსორების მხარდაჭერით ჩატარებული მსს ფასს ტრენინგები;
4. ანგარიშგების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (Reportal.ge | SARAS) გასაჯაროებული მინიმუმ 3 500 საწარმოს 2019 წლის ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (Reportal.ge);
5. მეოთხე კატეგორიის საწარმოების მიერ ანგარიშგების წარდგენის პროცესის ადმინისტრირება (65 000-მდე საწარმო - ანგარიშგების პირველადი წარდგენიდან გამომდინარე, წარუდგენლობის რისკი მაღალია)

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

რეფორმისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიმართულებით საწარმოთათვის ჩატარებული ცნობიერების ამაღლების 8 პრეზენტაცია:

27 მაისი - მეოთხე კატეგორიის საწარმოთათვის გაიმართა ღონისძიება „ანგარიშგების წარდგენის სისტემის“ პრეზენტაციის მიზნით. დისტანციური ღონისძიება IV კატეგორიის საწარმოთა წარმომადგენლებისთვის ანგარიშგების წარდგენის სისტემის დემონსტრაციას ემსახურებოდა;

07 ივნისი - სამსახურმა დისტანციური ღონისძიება გამართა მეოთხე კატეგორიის საწარმოთათვის, რომელიც წარიმართა ინტერაქციულ რეჟიმში. ღონისძიება აუდიტორიისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვას დაეთმო;

29 ივნისი - „ანგარიშგების წარდგენის სისტემის პრეზენტაცია III კატეგორიის საწარმოთათვის“, ღონისძიებაზე მესამე კატეგორიის საწარმოთა წარმომადგენლები კიდევ ერთხელ გაეცნენ ანგარიშგების წარდგენის სისტემას

08 ივლისი - მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის ტრენერთათვის სამსახურმა ტრენინგი გამართა. ტრენინგზე აუდიტორია მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის სატრენინგო მასალას და სტანდარტში შეტანილ ცვლილებებს გაეცნო

17 სექტემბერი - „ანგარიშგების წარდგენის სისტემის პრეზენტაცია“ - სამსახურმა ანგარიშგების წარდგენის სისტემასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებზე მორიგი შეხვედრა გამართა. დისტანციური ღონისძიება III და IV კატეგორიის საწარმოთა წარმომადგენლებისთვის ანგარიშგების წარდგენის სისტემის დემონსტრაციას ემსახურებოდა.

24 სექტემბერი - სამსახურის წარმომადგენლებმა III და IV კატეგორიის საწარმოთათვის გამართულ ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიება აუდიტორიისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვას დაეთმო

17 ნოემბერი - სამსახურმა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდმა (IFRS Foundation), ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების პროექტის მხარდაჭერით, მეხუთე დისტანციური ღონისძიება გამართეს, თემაზე: „ფასს სტანდარტები და მმართველობის ანგარიშგება - მნიშვნელოვანი სიახლეები“. ღონისძიება სდპ-ების, I - II კატეგორიის საწარმოთა წარმომადგენლებისთვისა და მათი მომსახურე აუდიტორებისთვის იყო განკუთვნილი. მას 200-მდე ადამიანი დაესწრო.

ნათარგმნი და სამოქმედოდ შემოღებული ფასს სტანდარტები

2021 წლის მეორე კვარტალში ითარგმნა და ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებული იქნა (სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები;

ანგარიშგებების გასაჯაროების მაჩვენებელი

ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (Reportal.ge | SARAS) 2021 წლის განმავლობაში, სამსახურის პორტალზე გასაჯაროებულ იქნა სდპ, I, II, III კატეგორიის საწარმოების/ჯგუფების 6,297 ანგარიშგება სამსახურის პორტალზე (Reportal.ge);

მეოთხე კატეგორიის საწარმოთა მიერ ანგარიშგებების წარდგენის პროცესი

ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით (Reportal.ge | SARAS) 2021 წლის განმავლობაში IV კატეგორიის 62,901 ანგარიშგება გადმოიგზავნა სამსახურის პორტალზე (Reportal.ge);

2021 წლის განმავლობაში ანგარიშგებების წარდგენის ჩანართის მეშვეობით ჯამში გასაჯაროვდა 69 198 ანგარიშგება.

2. აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა

2.1 აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: 30 აუდიტორული ფორმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 32 აუდიტორული ფორმისთვის ჩატარებული ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი.

IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: კონფიგურაციის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერილი მოდულის გაშვება რეალურ გარემოში; სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების შესრულების სისტემის გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე; წლიური და კვარტალური ბიუჯეტების დამტკიცებისას ბალანსის შემოწმების და ნაშთებით ავტომატურად დაბალანსების მექანიზმის შემუშავება; ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების ფუნქციონალის გაფართოება; დინამიური ანგარიშგების დოკუმენტების ფუნქციონალის გაფართოება; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სსიპებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემისთვის დაკონფიგურირდა სამუშაო გარემო 2021 წლისათვის; სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემის მომხმარებლების მხარის დიდი ნაწილი გადაიწერა ახალ ტექნოლოგიაზე და გაიტესტა. დინამიური ანგარიშგების დოკუმენტებში 2020-2021 პერიოდისათვის შეიქმნა ორგანიზაციული კოდების ახალი შაბლონები. ჩატარდა ბიუჯეტის კანონში ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოები. სისტემას დაემატა ახალი პოლიტიკის კავშირის კლასიფიკატორი და ჩაეშვა რეალურ სისტემაში. ჩატარდა 2022 წლის ბიუჯეტების დაგეგმვისთვის საჭირო სამუშაოები. სისტემაში შევიდა 68 შესწორება და აღმოიფხვრა 38 ხარვეზი.

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე გადასვლის რეფორმის მეორე ეტაპისათვის - შემოსულობების ნაწილის ანალიტიკა და ტექნიკური დავალების შემუშავება, ახალი ანგარიშთა გეგმის შესაბამისად (მუნიციპალიტეტების გადახდები) ინვოისის და სახელფასო ოპერაციების ლოგიკის ცვლილება ხაზინის მთავარი წიგნის ოპტიმიზაცია; მრავალწლიანი ხელშეკრულებების ავტომატური იმპორტი ახალ სამუშაო პერიოდში, არარეგისტრირებული მრავალწლიანი ხელშეკრულებების დაბლოკვის

ფუნქციონალი; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: გაეშვა აღსრულების ბიუროს, ხაზინის და ეროვნული ბანკის სისტემებში ინკასოს ავტომატური დამუშავების პროცესი. ბექ ოფისის და მხარჯავების პორტალის მხარეს დაემატა ინკასოს ფურცლების ჩანართები და პროცესის ამსახველი ანგარიშგებები. დაემატა მიზნობრივ გრანტის საწყისი ნაშთების ავტომატურად დათვლის ფუნქციონალი, CPV კოდების, მივლიბენის დანართების და პაკეტების დამოწმებების გადათვლის პროცედურების გაშვების პანელი, ახალი ვალიდაციები პირველადი დოკუმენტების, ვალდებულებების, ტრანზაქციების მართვის მოდულებში, ხაზინის ბუღალტრული გატარებების გარე სერვისი. შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით ავტომატური გახდა სავალუტო ჩარიცხვების შესახებ და ხაზინას გადამხდელზე დაბრუნებულ თანხების შესახებ ინფორმაციის გადაცემა. შეიცვალა ორგანიზაციების გადახდების დაბლოკვის პროცედურა, გრანტის მუხლის და შემოსავლების სახის ვალიდაციის სქემა, მ.გ. განსაზღვრის ფორმაზე მონაცემების გამოჩენის ლოგიკა, ხაზინის ადმინისტრირების მოდულის საგანგებო ფუნქციონალის ანგარიშების გადათვლის პროცედურა, მხარჯავების პორტალის ანგარიშგებები. დაოპტიმიზირდა წლის მიგრაციის პროცედურა, რომელშიც დაემატა საბანკო დეპოზიტების საწყისი ნაშთების დათვლა, მიზნობრივი გრანტების ხელშეკრულებების საწყისი ნაშთების დათვლა, საკუთარი სასხრების და მიზნობრივი გრანტების გეგმების ქეშის ანგარიშებზე ავტომატურად მიბმა. ასევე დაოპტიმიზირდა რესურსების დათვლის, ვალდებულებების, მოთხოვნების, უწყისების და პაკეტების დამუშავების პროცესები. ცვლილებები შევიდა შესყიდვების სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, ბიუჯეტის სისტემასთან სინქრონიზაციის სერვისებში და ამ სერვისებით მიღებული მონაცემების დამუშავების პროცესებში.

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საგარეო ვალის მომსახურების ახალი ანგარიშგების დოკუმენტების შექმნა; ბიუჯეტის მხარდამჭერი პროექტების გეგმიური ინფორმაციის დაზუსტების ფუნქციონალის გაფართოება და სრულყოფა; პროექტებზე ჩამორიცხვების ფუნქციონალის გაფართოება - სერვისების აწყობა ხაზინის სისტემასთან ფაქტიური შემოსულობების ხაზინის სისტემიდან წამოღების მიზნით; საგარეო ვალის საკრედიტო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ამოცანების ანალიტიკა; მიმდინარე ამოცანების ფარგლებში სისტემის ფუნქციონალისა და შესაბამისი მოდულების მოდერნიზება ან ახლის დამატება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საგარეო ვალების ნაწილში დაიმპორტდა ჩამორიცხვები 17 პროექტისთვის. ჩატარდა ბიუჯეტის კანონში ცვლილების მოსამზადებელი სამუშაოები. ცვლილებები შევიდა პროექტების ჩამორიცხვების ფუნქციონალში და ვალიდაციებში. საგარეო ვალისსაინვესტიციო და ბიუჯეტის მხარდამჭერ პროექტებში ჩატარდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისთვის საჭირო სამუშაოები. სისტემაში შევიდა 33 შესწორება და აღმოიფხვრა 13 ხარვეზი.

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: სისტემაში დამატებული ახალი მოდულების: შეფასების მოდულის, პროფესიული განვითარების მოდულის, რეპორტის კონსტრუქტორის და self-service პორტალის ტექნიკური მხარდაჭერა და დახვეწა/განვითარება/მოდერნიზება ახალი მოთხოვნების შესაბამისად; საინტეგრაციო პროცესების უზრუნველყოფა გარე სისტემებთან უკვე განსაზღვრული და შემუშავებული პროტოკოლის შესაბამისად (მონაცემების ექსპორტი და იმპორტი eHRMS სისტემაში სხვა HR სისტემებიდან); სისტემაში ახალი მოთხოვნების რეალიზება და მომხმარებელთა მუდმივი მხარდაჭერა; საჯარო ორგანიზაციებში სისტემის დანერგვის პროცესის გაგრძელება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სისტემაში განახლდა შეფასების მოდულის ფუნქციონალი, კერძოდ დაემატა შეფასების განახლებული მეთოდი. განახლდა თანამშრომელთა შეფასების დეტალური რეპორტი, დინამიური რეპორტის პარამეტრები, ადმინისტრატორის და მივლინების ჩანართები, ასევე არყოფნის აღმრიცხველი ტაბელი, თანამშრომელთა “self-service” პორტალი და თანამშრომლების პროფესიული განვითარების ფუნქციონალი. განახლდა საინტეგრაციო სერვისის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამისტროსთვის. სისტემას დაემატა სამუშაო დროის აღრიცხვის ფუნქციონალი. მიმდინარეობს eHRMS სისტემაში ახალი მოთხოვნები/შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ტექნიკური გადაწყვეტის სამუშაოები. ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ორგანიზაციების დანერგვა, მომხმარებელთა ტრენინგები და მხარდაჭერა.

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის ინფრასტრუქტურული და სისტემური მდგრადობის ამაღლება; ბიზნეს პროცესების ITIL-თან შესაბამისობაში მოყვანა, ISO27001 სტანდარტების დანერგვა და ინფორმაციული უსაფრთხოების დონის ამაღლება; მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია (დოკუმენტ ბრუნვის, ხაზინის მონაცემთა ბაზების ოპტიმიზაცია, ბაზების დაყოფა ცალ-ცალკე წლების მიხედვით და ძველი მოძველებული მონაცემების შემდგომ განთავსება დაბალი წარმადობის სანახ სისტემებზე); ახალი ჰიპერკონვერგენტული სისტემის სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემების შემდგომი გაფართოება; ვირტუალური ინფრასტრუქტურის (Vcenter,ESX) განახლება 7.0 ვერსიამდე, სერვერების ოპერაციული სისტემების ვერსიების ამაღლება და ვირტუალური სერვერების მიგრაცია ახალ სისტემაზე; სასერვეროების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია გაგრილების სისტემის განახლება. ვებ აპლიკაციის ფაერვოლის (WAF) და ბალანსერის შეძენა დანერგვა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დამონტაჟდა და გაეშვა ექსპლუატაციაში დამატებით 14 სერვერი არსებულია გამოთვლითი, ჰიპერ-კონვერგენტული პროგრამული აპარატურული კომპლექსში VXRAIL. დამატებითი ნოუდებისათვის ქსელურ ინფრასტრუქტურაში განხორციელდა ახალი კავშირების უზრუნველყოფა. ახალ სერვერებზე განხორციელდა ვირტუალური მანქანების მიგრაცია.

ფინანსთა სამინისტროში განთავსებულ დამატებით WIFI აქსეს პოინტებზე განახლდა ოპერაციული სისტემა და ასევე მათ დაემატა ფუნქცია დომენით ავტორიზაცია.

ფინანსთა სამინისტროს 6500-მდე მომხმარებლის, საფოსტო ყუთებში არსებული მაილები, მონაცემები, რომელიც შენახულია 2011 წლიდან დაარქივდა და დამიგრირდა ელექტრონული ფოსტის არქივირების და ლოგირების ვირტუალური სისტემაში. განხორციელდა მაილ სერვერის ბაზების შემცირების და ოპტიმიზაციის სამუშაოები. მომხმარებლების კომპიუტერებში რეგიონალურ ოფისებში დაინერგა პერსონალური ფაირვოლი და

ასევე დაიბლოკა USB ფლემ მესხიერებების წაკითხვის და ჩაწერის შესაძლებლობა. განხორციელდა მონიტორინგისა და ტრაფიკის ლოგირების სისტემის (Solarwinds Monitorin System) და VPN დაშვების სისტემის (ISE) უსაფრთხოების სერტიფიკატების და ვერსიების განახლება. ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ შენობაში დაინერგა ქსელთან წვდომის აუთენტიფიკაციის და ავტორიზაციის პროტოკოლი 802.1x. განხორციელდა აუთენტიფიკაციის და ავტორიზაციის ერთიანი მართვის სისტემის (ISE) და ასევე ქსელური მოწყობილობების და დომენური კომპიუტერებისთვის (Radius) ქსელთან წვდომის წესების კონფიგურირება და AD მომხმარებლებით ავტორიზაციის უზრუნველყოფა. ვიდეო რეგისტრატორების (NVR) კონფიგურაცია ცვლილება და არსებულ ვიდეო კამერებზე IP მისამართების ცვლილება.

IDS სისტემის ინპლემენტაცია და მასთან დაკავშირებული ფიზიკურ სერვერებზე ვირტუალური გარემოს მოწყობა-კონფიგურირება, ინციდენტ მენეჯმენტის, ცვლილებების მენეჯმენტის და განახლებების მენეჯმენტის სერვერების ვერსიების განახლება და ინტეგრაცია ერთმანეთთან, ჰიპერკონვერგენტული სისტემის Dell EMC VxRail და Dell EMC DataDomain DD6300 რეზერვირების დისკური სისტემის პროგრამული კოდის განახლება. დაინერგა შემოსავლების სამსახურის ძირითადი Oracle RAC მონაცემთა ბაზის არსებული სისტემის Active-Active გაწევილი კლასტერის გაფართოება დამატებით ორი ბლოკით (Dell EMC XtremIO-2 All Flash). განახორციელდა მონაცემთა შენახვის All Flash სისტემის კონფიგურაცია და არსებულ Dell EMC VPLEX Metro განაწილებულ ვირტუალიზატორთან ინტეგრაცია მონაცემების რეპლიკაციისთვის, ასევე განახორციელდა არსებული მონაცემების (19TB მონაცემთა ბაზა) ონლაინ რეჟიმში სისტემის გათიშვის გარეშე მიგრაცია ახალ მონაცემთა შენახვის All-Flash სისტემაზე;

დაინერგა ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული ფოსტის ახალი უსაფრთხოების სისტემის Anti-Spam ფილტრაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს სარეკლამო და მავნე ვირუსული ხასიათის შიგთავსის მქონე მეილების ბლოკირებას და/ან შეტყობინებების გაგზავნას. დაინერგა ახალი თაობის NG Firewall 2 (ცალი) ბრენდმაუერი, დამიგრირდა ახალი ოპტიმიზებული კონფიგურაცია ახალ ბრენდმაუერებზე, მოწყობილობები დაინტეგრირდა „Active Directory (AD)“-სთან, განხორციელდა ახალი თაობის ბრენდმაუერის საშუალებით ინტერნეტ ტრაფიკის და კონტენტის ფილტრაციის კონფიგურაცია.

დანართი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

დანართი

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2021 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვა

#	მიმართულება/ღონისძიება	დაფინანსების მთლიანი მოცულობა/დაფინანსების წყარო (ლარი)
	I - ბიუჯეტირება	23 01 - სახელმწიფო

		ფინანსების მართვა
		2,350,000
1	ბიუჯეტის მართვის სრულყოფა	2,350,000
1.1	წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება	290,000
1.2	საშუალოვადიანი დაგეგმვის ეფექტურობის გაზრდა (MTEF)	260,000
1.3	პროგრამული ბიუჯეტის გაუმჯობესების ხელშეწყობა სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე	400,000
1.4	საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალური მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	250,000
1.5	საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის ერთიანი ციკლის ჩამოყალიბება	400,000
1.6	წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება	200,000
1.7	საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	180,000
1.8	მუნიციპალიტეტების მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესება	350,000
1.9	საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით	20,000
	II - მთავრობის ვალის მართვა	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		800,000
1	მთავრობის ვალის მართვის საშუალო ვადიანი სტრატეგიის განახლება	200,000
2.	მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება	600,000
2.1	პირველადი დილერების სისტემის დანერგვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადასვლა	200,000
2.2	ინვესტორებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება	200,000
2.3	სახელმწიფო ვალის შესახებ კანონის განახლება	200,000
	III - აღრიცხვა და ანგარიშგება	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		1,700,000
1	დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა	1,000 ,000

1.1	IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, საჯარო სექტორში აღრიცხვა-ანგარიშგების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების დახვეწა და გაუმჯობესება	50,000
1.2	IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების ფორმების დახვეწა და გაუმჯობესება	50,000
1.3	საჯარო სექტორის ბუღალტრებისთვის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, ტრენინგების და ა.შ. გამართვა	600,000
1.4	ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების შესაბამისად*	-
1.5	მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე	150,000
1.6	IPSAS სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სტანდარტების მუდმივი თარგმნა/განახლება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	50,000
1.7	საჯარო სექტორში დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების დამატებით შემოღება	100,000
2	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) განვითარება	700,000
2.1	სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემაში (PFMS) დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონალების შემუშავება/განვითარება და არსებული ბიზნეს-პროცესების დახვეწა/გამარტივება	300,000
2.2	სახელმწიფო ბიუჯეტის და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების გადამზადება ხაზინის ელექტრონული სისტემის გამოყენებასთან/ცვლილებებთან დაკავშირებით	400,000
	IV - საგადასახადო და საბაჟო საკითხები	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა 23 02 - შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება
		8,058,208
1	საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება	1,300,000
1.1	ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება	300,000
1.2	საბაჟო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა	200,000

1.3	საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა	800,000
2	კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება	5,636,853
2.1	კანონშესაბამისობის გაუმჯობესების პროგრამების დანერგვა (არარეგისტრირებულ პირთა გამოვლენის პროგრამა; მონაცემთა ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის პროგრამა; დღგ-ის კვალიფიციური გადამხდელების სტატუსის განსაზღვრის პროგრამა; დეკლარაციის ჭრილში წარმოდგენილი ინფორმაციის ვალიდაციის პროგრამა; დღგ-ის დეკლარირებით შესამცირებლად გაანგარიშებული ზედმეტად გადახდილი თანხების ავტომატური დაბრუნების ვალიდაციის რისკის მოდული; მარაგების მართვის პროგრამა; დასაბეგრი საგადასახადო დოკუმენტების მართვის პროგრამა; დაქირავებულ პირთა რეესტრის კონტროლის პროგრამა)	4,506,784
2.2	ძირითად გადასახადებში დეკლარაციების აუდიტის პროგრამის დანერგვა	636,208
2.3	ძირითად გადასახადის სახეებში სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის შემუშავება	131,239
2.4	აუდიტის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა	199,873
2.5	მონაცემთა ანალიზის და მართვის სისტემის შექმნა	162,750
3	საბაჟო რისკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცვლის სისტემის განვითარება	498,380
3.1	eTIR სისტემის დანერგვა	124,595
3.2	საბაჟო რისკების მართვის სისტემაში API PNR მონაცემების ინტეგრირება	373,785
4	ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა	622,975
4.1	დღგ-ის კანონმდებლობის იმპლემენტაციისა და ინტერპრეტაციისთვის შესაბამისი დოკუმენტებისა და სისტემების შემუშავება	74,757
4.2	ფინანსური ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროექტის მეორე ფაზის განხორციელება	548,218
	V - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		1,400,000
1	მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება	1,100,000
1.1	მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა	150,000
1.2	ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტენდენციების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მომზადება	140,000
1.3	მაკროეკონომიკური კვლევითი ნაშრომების გამოქვეყნება	60,000
1.4	ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი შოკების ანალიზი, სცენარების შედგენა და მაკროეკონომიკური რისკების შეფასება	160,000
1.5	სტრეს-ტესტების ანალიზი	70,000
1.6	საშუალოვადიანი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	110,000

1.7	სოციალურ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების შეფასებასა და სტრატეგიების შემუშავებაში მონაწილეობა მაკროეკონომიკური პროგნოზირების კუთხით	90,000
1.8	ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზნით სტრატეგიის დამუშავების კოორდინაცია და საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია	150,000
1.9	საგადასახადო დანახარჯების შესაფასებლად მონაცემების დამუშავება და ანალიზი, შეფასების არეალის გაზრდა	170,000
2	შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება	300,000
2.1	ერთიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების მომზადება, ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზების არსებული მეთოდოლოგიის დახვეწა და ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება	150,000
2.2	სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამუშაოთა ორგანიზება და მონაცემთა გავრცელება ქვეყანაში მიღებული სტატისტიკური მეთოდოლოგიით და საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით	150,000
	VI - ფისკალური რისკები	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		500,000
1	სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა	500,000
1.1	სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის სტრატეგიის მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის დასამტკიცებლად წარდგენა	160,000
1.2	სახელმწიფო საწარმოთა შესახებ ყოვლისმომცველი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება	130,000
1.3	ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მომზადება	210,000
	VII - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება	23 01 - სახელმწიფო ფინანსების მართვა
		925,700
1	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა	925,700
1.1	სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება	125,200
1.2	ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	465,000
1.3	შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში	335,500

	VIII - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	23 06 - ბუღალტრული, აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობა
		800,000
1	ანგარიშგებების პორტალის ეფექტური ფუნქციონირება	300,000
1.1	ანგარიშგებების პორტალის განვითარება	300,000
2	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდის ხელშეწყობა	500,000
2.1	აუდიტორული მომსახურების ხარისხის ზრდა	500,000
	IX - ინფორმაციული ტექნოლოგიები	23 04 - ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა
		3,259,850
1	საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება	3,359,850
1.1	eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	513,350
1.2	eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	996,000
1.3	eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	204,750
1.4	eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	440,000
1.5	ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა	1,105,750

*აქტივობა განხორციელდება დონორის დაფინანსებით